თბილისი ენერჯი

მიცკევიჩის ქ. №18ა, თბილისი, 0194, საქართველო
ს/კ 205129617 +995 (32) 2404004; info@te.ge; www.te.ge

№ 02-14-291165-26
04 / 11 20 26

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს
გაყიდვების მხარდაჭერის სამსახურის უფროსს ლევან ტეფნაძეს

ბატონო ლევან,

თქვენი მიმდინარე წლის 28 ოქტომბრის №6/60863 (კომპანიაში რეგისტრირებული №02-14-291165-26) წერილის პასუხად, რომელიც ეხება ქ. თბილისი, ნადიკვარის III ქუჩა №19-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი: №01.18.01.002.352) გაზსადენის მდებარეობისა და ქსელთან შეზღუდვის შესახებ ინფორმაციის მოწოდებას გაცნობებთ, რომ კომპანიაში არსებული მონაცემთა ბაზის მიხედვით აღნიშნულ საკადასტრო ერთეულს კვეთს შპს „თბილისი ენერჯი“-ს კუთვნილი მიწისქვეშა **D=110 მმ-იანი** და მიჯნაზე ფიქსირდება მკვებავი **D=63 მმ-იანი** საშუალო წნევის გაზსადენები (იხ. დანართი: სქემატური ნახაზი).

წარმოდგენილ ტერიტორიაზე სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შემთხვევაში, მომავალმა მესაკუთრემ საჭიროა შეასრულოს შემდეგი მოთხოვნა:

- სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე აუცილებელია ნაკვეთზე არსებული გაზსადენების წითელი ხაზებიდან გადატანა/მარშრუტის ცვლილება.

აქვე გაცნობებთ, რომ დაინტერესებული პირის მიერ ქსელის რეკონსტრუქციის შესახებ შესაბამისი განაცხადით მომართვის, საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების თანხების სრულად ანაზღაურების, ხელშეკრულების გაფორმების და საჭიროებისამებრ, სამუშაოების წარმოებისათვის აუცილებელი ნებართვების (მუნიციპალიტეტის მერია, კერძო მესაკუთრე) მოპოვებისა და წარმოდგენის შემთხვევაში, კომპანია მზად არის განახორციელოს აღნიშნული სამუშაოები.

წარმოგიდგენთ აღნიშნულ ტერიტორიაზე გაზსადენის განლაგების სქემატურ ნახაზს.


დანართი: სქემატური ნახაზი-1 ფურცელი.

პატივისცემით,

გიორგი გოგინაშვილი
დირექტორი ტექნიკურ საკითხებში

IOS QR Android QR

სსიპ "სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო"
შემოსვლის №: 1430466/04
06 11 2026
ფურცელი


1:250
N
W
E
S
01.18.01.002.352
484540
484550
484560
484580
484600
4614120
4614100
პირობითი აღნიშვნები
შპს "თბილისი ენერჯი"-ს საკუთრებაში არსებული მიწისზედა გაზსადენი
შპს "თბილისი ენერჯი"-ს საკუთრებაში არსებული მიწისქვეშა გაზსადენი
მიწის ნაკვეთი
4 მეტრიანი შეზღუდვის ზონა
ENERGY